შინაური საქმეები

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

№ 8.

ᲙᲕᲘᲠᲐ, ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ 22, 1909 წ.

ფასი წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 2½ მან.
ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.
ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: სიტყვა მართლმადიდებლობის კვირიაკეს—მღვ. ს. მჭედლიძისა; ქრისტიანობა და მეცნიერება—ნაცარყანელისა; ილია ჭავჭავაძე—ხომლელისა; ეპისკოპოსი პეტრე; თანამედროვე კერპი—გრაფი ლეონ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი—კინკილეთელისა; წერილი გრაფ ტოლსტოის მიმართ; კვირიდან კვირობამდე.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ 1908 წლის ხვედრი ფასი.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2½ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

ᲨᲔᲛᲝᲬᲘᲠᲣᲚᲔᲑᲐ

იაფ სამეურნეო წიგნების გამოსაცემად (იხ. № 5 „შინაური საქმეებისა“ წერილი ნ. მკურნალისა.)

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მიიღოთ ჩემმიერ შეგროვილი წვლილი, რომელიც შემოსწირეს შემდეგმა პირებმა:

ელისაბედ მაქელაძისამ — 50 კ.
მარიამ გუგუნავასამ — — 1 მან.

სულ 1 მ. 50 კ.
ოლ. მკურნალისა

ამ ფულების იყო — 14 მ. და 50
შემოსულიანათ არის — — 16 მ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲙᲔᲡ.

აღკაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას. (მათ. 16, 18).

მართლმადიდებელ ეკკლესიას არ ახსოვს ისეთი დღე, ისეთი წამი, რომ მტრებისგან მოესვენოს, მტრებისგან, რომლებიც არა თუ მხოლოდ ხელს უშლიდნენ მის მშვიდობიან მიმდინარეობას, არამედ სდევნიდენ მას, სტანჯვიდნენ მის წინამძღვრებს, უნადგურებდენ ტაძრებს. იყო დრო, როდესაც იგი მაღაროებში იმალებოდა, უსიერ მთებში და უდაბურ ტყეებში ბუდობდა. ეს ის ვაგლახი დრო იყო როცა ქვეყნიერება რომის სახელმწიფოს ეჭირა, როცა ძლევა-მოსილად მეფობდნენ მტარვალნი მეფენი: ნერონი, დომიციანე, დეკი, დიოკლიტიანე და ქრისტიანობისგან განდგომილი უსჯულო ივლიანე. ეს ისევ პირველ საუკუნოებში იყო, როცა იესო ქრისტეს თეითმხილველნი, მისი მოციქულნი ცოცხალნი იყვნენ. რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა ამ დროს, რამდენი ტანჯვა-წამება აიტანა მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ ქრისტიანებს აღრჩობდნენ, ნელ ცეცხლზე წვავდნენ [illegible]

აკრავდნენ, მხეცებს უყრიდნენ შესაჭმელად, გაკუპრულ ტომრებში ხვევდნენ, ხეებზე ჰკიდებდნენ და ჩირაღდნებად ხმარობდნენ სახალხო სეირნობის დროს. იოანე მახარებელი ადუღებულ ზეთში მოხარშეს, პეტრე მოციქული ჯვარზე თავდაღმა გააკრეს, პავლეს თავი მოჰკვეთეს, იაკობი ძაღლივით კეტით მოაკვლევინეს ერთ მეშალეს, არხიდიაკონი სტეფანე ქვით ჩაქოლეს. არ იყო ისეთი სასჯელი, რომელიც ჯოჯოხეთის ძალებს არ მოეგონებია ქრისტიანების სატანჯავ-საწამებლად, მართლ მორწმუნოების მოსასპობლად. არ იყო საშუალება, რომელიც არ ეცადნათ, რომ ქრისტეზე უარი ეთქმევინებიათ. ნიკომიდიაში შობა ღამეს ოცი ათასამდე მორწმუნენი გამოსწვეს ტაძარში, ფრიგიაში მთელი ქალაქი დასწვეს, ბავშებიც კი არ შეიბრალეს. მტარვალი დიოკლიტიანე უკვე დღესასწაულობდა ქრისტიანებზე გამარჯვებას და ამის სახსოვრად მედალიც გამოაჭრევინა შესაფერი წარწერით. უსჯულო ივლიანემ აღთქმა მისცა ღმერთებს, თუ სპარსელებზე გაიმარჯვებდა, სხვერპლად შესწირავდა მთელ ქრისტიანებს. ამით რომ ვერაფერი გააწყო, ჯოჯოხეთის ძალებმა შექმნეს შინაგანი განხეთქილება ეკკლესიაში, გამოჩნდნენ ცრუ მოძღვრები და მწვალებლები, რომლებიც თითქმის შვიდი საუკუნის განმავლობაში აღელვებდენ ეკლესიას. მაგრამ ამანაც ვერაფერი ჰქნა. ჭეშმარიტება, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლევა მოსილად იმარჯვებდა ბნელ ძალებზე. მართლმადიდებლობა ჰყვავოდა და მეშვიდე საუკუნის დამლევს სრულიად სძლია მტრებს და ამ სრული გამარჯვების სახსოვრად დღევანდელი დღე დასდვა დღესასწაულად, დღევანდელი დღე, რომელსაც მართლმადიდებლობის კვირიაკე უწოდა.

მას შემდეგ ვადის აგერ ცამეტი საუკუნე ქრისტიანობა თან-და-თან ვრცელდება; მრავალმა ველურებმაც კი სცნეს ვინ არის ქრისტე, განიცადეს სიტკბოება ქრისტეს სისხლისა და ხორცისა. ჯოჯოხეთი იძლია, ჭეშმარიტების ბრწყინვალებამ ყველგან შეაშუქა, მაგრამ მტერი მაინც არ სცხრება. ურწმუნოებას, ულვთოებას, უსჯულოებას, გარყვნილებას, ზნე-დაცემულობას დღესაც ბევრი აგენტები ჰყავს, ბევრი პროპაგანდისტ-მქადაგებლები ჰყავს. დღესაც გაისმის ხმა ცრუ მოძღვარ-მწვალებლებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქრისტეს და მის ეკკლესიას, დღესაც როგორც ძველად, არიან ფარისეველ-სადუკეველნი, რომელთაც შურთ გამარჯვება ქრისტესი და მისი ეკკლესიისა, რამეთუ ამან ხალხი ყოველი მიიზიდა, მოხიბლა თავის მაღალი სწავლით, ხოლო ესენი დარჩენ მარტონი, უარყოფილნი. არ მოსწონს ბატონობას მიჩვეულ ჯოჯოხეთს ასეთი წარმოცალიერება. და აი უკანასკნელ ღონეს აკრიბავს ერთი კიდევ შეებრძოლოს ნათელს, მაგრამ უძლურება ახალი მოძღვრებისა იქიდგან დაინახეთ, რომ თავის მოძღვრებისთვის ახალ საბუთს ვერას ჰპოებენ და იმეორებენ ისევ იმას, რასაც ამბობდენ მათი წინაპარნი: ქრისტე, ღმერთი არ არის, იგი სოციალდემოკრატია, იგი უკანონო შვილია მარიამისა, იგი მატყუარაა, იგი მოკვდა, როგორც კვდება ყოველი კაცი და მაშასადამე არ აღმდგარა, სახარება მოგონილია, სამღვთო წერილი ზღაპარია. საბუთი? ასე სთქვა ურია გეკელმა, რენანმა, ასე ამბობდენ ძველი ქრისტეს უარმყოფელნი, რომლების თქმულება, სიტყვაზე ვსთქვათ, დიდი ხანია უარყოფილია, როგორც მტკნარი სიცრუე, უვიცობა და გაუგებრობა. მიუხედავად თავის სიძველისა და უსაბუთობისა, ამ ძველმა მოძღვრებამ პოხიერი ნიადაგი იპოვა ჩვენ ახალგაზდებში, რომლებსაც შრომა ეზარებათ, რომ საგანს ჩაუკვირდენ. და ჰაერში გაფანტულ ცრუ და ყალბ აზრებს კი სიხარბით იჭერენ და ყველგან ავრცელებენ, როგორც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. თავის ღრმა გზა-დაბნეულობაში მათ ჰგონიათ, რომ სარწმუნოებას დაელია საფუძველი, რომ მას აღარ შეუძლია თავი დაიცვას იმ ბრალდებათაგან, რომლებსაც იძლევიან მათი მოძღვარნი. მაგრამ იცოდნენ კარგად, რომ არ არიან ისეთი ბრალდებანი, რომლებზედაც ეკკლესიას ბრწყინვალედ და ძლევა მოსილად არ ეპასუხნოს. მხოლოდ საჭიროა, რომ ამ პასუხს ვისმენდეთ, ისე როგორც ვისმენთ წინააღმდეგს, საჭიროა თვალყურს ვადევნებ-

დეთ მოწინააღმდეგეს და არა ჭეშმარიტად, ჯიუტურად გავიძახოდეთ ეს ტყუილია, ის ზღაპარია, ეს შეუძლებელია, ის მოგონილიაო. ასეთი უსუსური საბუთებით შეგვიძლია უარ ვყოთ ყველაფერი, რაც გვინდა, რაც არ მოგვწონს. ამით, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას ვერ შევარყევთ, მაოლოდ დროებით ბურუსში გავხვევთ და ისიც ახლო მხედველთათვის და არა შორს მჭვრეტელთათვის, უგნურთათვის და არა გონიერთათვის როგორც სთქვა წინასწარმეტყველმა: „სთქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი.“ დღევანდელი დღესასწაული ყოველთვის მოწამე იქნება მართლ-მადიდებლობის გამარჯვებისა, ძლევისა, ჭეშმარიტების ძლევამოსილობისა, ეკკლესიის სამარადისოდ გიებისა, როგორც სთქვა მაცხოვარმა: „ალვაშენო ეკკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდეს მას“. ჩვენც, ძმანო, ვეცადნეთ არ დაუთმოთ ბნელ ძალებს. ვეცადნეთ შევიძინოთ განდგომილნი, მოვინადიროთ მტერნი და ამის საშუალებათ ვიხმაროთ არა ძალმომრეობა, არამედ სახარება, არა ხმალი და ასაფეთქებელი საშუალებანი, რომლებსაც ხმარობენ მოწინააღმდეგენი, არამედ ჭეშმარიტება, როგორც ბრძანა ქრისტემან: „სცანით ჭეშმარიტება, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ. ამინ!

მღვ. ს. მჭედლიძე.

ქრისტიანობა და მეცნიერება

ქრისტიანობის და ბუნების მეტყველების შორის არ არის წინააღმდეგობა!

(დასასრული*).

ბევრს სწავლულს ჯერ კიდევ მიაჩნია ქრისტიანობა და ბუნების-მეტყველება ერთმანეთის მოწინააღმდეგედ. არა მხოლოდ ს.-დემოკრატულს ფურცლებში, არამედ იმისთანა წიგნებში და დრო გამოშვებით გამოცემებში, რომლებსაც მეცნიერობით მოაქვთ თავი, ხშირად გვხვდება აზრები შეხებ იმისა, რომ მეცნიერებამ უარჰყო სარწმუნოება. მაგრამ ეს სასტიკი შეცდომაა; ამის მთქმელებს ალბათ ვერ გაუგიათ ხეირიანად, რა არის სარწმუნოება და არც ის, რა არის მეცნიერება; სარწმუნოება და მეცნიერება თუმცა კი განირჩევიან ერთმანეთისგან, მაგრამ ისინი არ არიან ერთიანეთის წინააღმდეგნი. ბუნების მეცნიერების საგანი არის ხილული ქვეყნიერება, ის, რაც გაიზომება, აიწონება, აღირაცხება; ქრისტიანობა კი, პირ იქით, არ არის ამა სოფლისგანი, მას საქმე აქვს უხილავ, სულიერ ქვეყანასთან. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ქრისტიანობას და საღვთოწერილს, მან უნდა იცოდეს, რომ სარწმუნოება არის უეჭველი დარწმუნება იმაზე, რის დანახვაც არ შეიძლება. გამოჩენილმა ექიმმა ვიხროვმა ერთხელ სთქვა, რომ საოპერაციო დანით ვერსად ვერ ვნახე სულიო; ფრანციელმა ასტრონომმა ლალანდმა კიდევ განაცხადა, რომ ბევრი ვათვალიერე ცა დურბინდით, მაგრამ ღმერთი ვერსად დავინახეო. ამ სიტყვებში ქრისტიანისთვის არაფერი საშიში და სამწუხარო არ არის, რადგანაც ყველამ იცის, რომ ღმერთი და სული უხილავი საგანებია; ვინა სთქვა, რომ შეიძლება ან სულის, ან ღვთის დანახვაო! „გრძელი, ვრცელი, გაჭიმული არსება არ შეიძლება ყოფილიყო ჩვენ მიერ თაყვანის საცემელი ღმერთი“, სთქვა ლიუტერმა. ამ რიგად, ბუნების-მეტყველების საგანი არის საოქაო არსება, სარწმუნოებისა კი საიქიოსი.

ბუნების მეცნიერი უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას აქცევს მოვლენის მიზეზს; რომელიმე მოვლენა მხოლოდ მაშინ ხდება გასაგები, როცა შეიძლება მისი გამოყვანა სხვა მოვლენათაგან, ან მისი გამოცდა. ქრისტიანი კი ყურადღებას აქცევს მოვლენის მიზანს. რისთვის არსებობს ქვეყანა, რისთვის ვარსებობ თვითონ მე, რისთვის ვცხოვრებთ, ვიტანჯებით, ვიხოცებით? ექიმი კმაყოფილია, თუ გამოიკვლია და გაიგო მიზეზი ბავშვის სიკვდილისა, მაგრამ მწუხარე მშობლები ამათი არ კმაყოფილდებიან. ისინი გამწარებით კითხულობენ, რისთვის მოკვდა ბავშვი, რათ მოეკლინათ ამათ ასეთი უბედურება? მეცნიერება ამ საკითხებს ვერ განმარტებს, ქრისტიანე კი, მინდობილი

(*) „შინ. საქ.“ № 6.)

ღვთის განგებაზე, იტყვის: „ღმერთს უპყრია ხელში ჩემი ცხოვრება, მას ყოველივე საკეთილოდ მიჰყავს“.

სარწმუნოებაც და მეცნიერებაც დაფუძნებულნი არიან ფაქტებზე. გარდა ხილული, მატერიალური ფაქტებისა არიან კიდევ სხვა სულიერი ფაქტები, ისევე სარწმუნონი, როგორც მატერიალური ფაქტები. თვით ქრისტიანობა არის უდიდესი და უძლიერესი ფაქტი ქვეყანაზე, საღვთოწერილი, ისტორია ეკკლესიისა, ქრისტიანული ცხოვრება თვითეული კაცისა, თვითეული ლოცვა, ქადაგება, თვითეული მოთმინება და საქმე სარწმუნოების სახელით მქევრმეტყველი მოწმეები და ფაქტებია ქრისტიანულ სარწმუმოებისა. ის ძალა, რომელიც ლოთს გარდაჰქმნის ფხიზლად, ცუდს კაცს—სათნოდ, ამაყს—მდაბლად და ქურდს პატიოსნად არის დამტკიცებული და მიღებული, მაშასადამე—მეცნიერული ფაქტი. აქაც შეიძლება ითქვას, რომ „არ არის მოქმედება უმიზეზოდ“. ზოგიერთი ფაქტი აღვილად გასაგებია და მისახდომი ყველასთვის, ზოგის გაგება კი შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, ვისაც აქვთ განვითარებული სულიერ-ზნეობრივი ცხოვსება. სარწმუნოება ხსნის სულიერს ფაქტებს, ხოლო მეცნიერება ნივთიერებს.

საზღვრები ბუნების მეცნიერებისა.

დიდია და განუზომელი სამეფო საბუნების-მეტყველო მეცნიერებისა; ბევრი წასდგა მან ნაბიჯი წინ. ჩვენ ეხლა იმ ზომამდე დავიმორჩილეთ ბუნება, რომ ჩვენს წინაპრებს არც კი მოლანდებიათ; შეიძლება ითქვას, რომ ბუნების მეტყველება ჯერ მხოლოდ დასაწყისშია და რაც მან მოგვცა მაზე უფრო დიდს უნდა მოველოდეთ. მაგრამ ამ მეცნიერებასაც აქვს საზღვრები, რომლებსაც ვერ გადავა. მხედველობაში მივიღოთ უსრულობა, შეზღუდულობა კაცის გრძნობა გონებისა, აგრეთვე დაულევნელობა ქვეყნისა და ბუნების სხვა და სხვა კანონებისა და ეს ჩვენთვის ცხადი იქნება.

უწინდელ დროში სწავლულებს შეეძლოთ ენუგეშებინათ თავი იმ აზრით, რომ ქვეყანაზე ყველაფრის გაგება შეიძლებაო; მაგრამ ეხლა ეს შეუძლებელია. რაც უფრო წინ მიდის მეცნიერება, მით უფრო ახალი და აუხსნელი მხარეები იბადება ჩვენ თვალწინ; ეხლა მეცნიერები თანდათან უფრო იმსჭვალებიან იმ აზრით, რომ ჩვენი ცოდნა არ არის სრული და ამ ქვეყანაზე არც იქნება.

სასწაულები. სასწაული არის იმისთანა მოვლენა, რომელშიც ჩვენ ვხედავთ ცხოველი ღვთის მოქმედებას; არ არის არც ერთი ქრისტიანე, რომელსაც, არა სწამდეს რაიმე სასწაული; ყოველივე, რაც კი უმტკიცებს ღვთის ძლიერებას და სასოებას, არის მისთვის სასწაული. ზოგს კი სასწაული მიაჩნია იმგვარ მოქმედებად, რომლითაც ღმერთი აუქმებს ბუნების კანონებს და პირდაპირ თვითონ მოქმედობს. ეს აზრი არის საწინააღმდეგო და შეუფერებელი ქვეყნის შემოქმედისთვის, რომელიც თითქო პატივს არა სცემს თავისსავე დადგენილ კანონებს. მაგრამ წარმოვიდგინოთ შემდეგი. თუ ჩვენ ჰაერში ავისროლეთ რაიმე საგანი, ის დაბლა დაეშვება, ამ მოვლენას ჩვენ ვაწერთ მიმზიდველობის კანონს და ვამბობთ, რომ არსებობს კანონი მიმზიდველობისა; მაგრამ ეს კანონი მოქმედობს მხოლოდ მაშინ, თუ არ გაჩნდა რაიმე მისი მოწინააღმდეგე ძალა, მაგალითად მაგნეტიზმი, რომელიც ეწინააღმდეგება მიმზიდველობის ძალას. აქ მოძრაობის მიზეზს უერთდება სხვა მიზეციც და ამიტომ შედეგიც შეცვლილია. სასწაულებშიც მოქმედობს სწორედ ეს ახალი მიზეზი სულიერი და პირადი ხასიათისა—ღვთის სიყვარული. განა ძნელი მისახვედრია, რომ პირადი სიყვარული ღვთისა უფლობს ბუნებაზე და ყველა მისს კანონებზე და იმსახურებს მათ თანხმად თვისი მიზნებისა? ყოველი სასწაული არის გამოცხადება ღვთის მოწყალე სიყვარულისა. ამ რიგად სასწაულში ჩვენ გვხვდება არა დარღვევა, ან შეწყვეტა ბუნების კანონების მოქმედებისა, არამედ, როგორც ამბობს ბოტანიკის პროფესორი რეინეკე, გაკვირვების ღირსი მოხმარება კანონებისა. სასწაული ბუნებას კი არ ეწინააღმდეგება, არამედ იმას, რაც ჩვენ ვი-

ცით ბუნების შესახებ. თვით დარვინიც სცნობდა, რომ პირველ ორგანიულ განსახულებაში „სიცოცხლე შემოქმედისგან უნდა ყოფილიყო შთაბერილი“. იოჰან მიულლერი ამბობს რომ „მხოლოდ სასწაულს შეეძლო შეექმნა ცოცხალი ორგანიზმი უსიცოცხლო ნივთიერებისგანო“ მაშ თვით პირველი ბუნების მეტყველებიც არ უარყოფენ სასწაულს!

შ ე ქ მ ნ ა ქ ვ ნ ყ ნ ი ს ა. შექმნა ქვეყნისა არის სასწაული. საღვთო წერილს სულაც არა აქვს აზრად მეცნიერული ახსნა ქვეყნის არსებობისა; იგი არ იძლევა არა გვარ მეცნიერულ ცნობებს სხვა და სხვა ფორმაციების შესახებ. ეს გვასწავლის ჩვენ, ვინ შეჰქმნა ქვეყანა და რისთვის. ყოველივე შეჰქმნა ღმერთმა; იგია მიზეზი ყოველისავე და არა რაიმე შემთხვევა; იგი, რცგორც უსრულესი სული, ამაღლებულია ნივთიერებაზე: კაცი — „გვირგვინი ქმნილებისა“ — არის ხატება და სახე ღვთისა. ეს არის ის ამაღლებული სწავლა, რომელიც საღვთოწერილში მოთხრობილს შექმნის ისტორიას მაღლა აყენებს ყველა წარმართულ კოსმოგონიზმზე.

ცხადია, რომ ამ მოთხრობას საფუძვლად აქვს პტოლომეს შეხედულობა ქვეყნის შექმნაზე; დედა მიწა სდგას, ცა განთხმულია მაზე, როგორც სამყარო; ცაზე არიან მნათობნი, მზე, მთვარე და ვარსკვლავები; ეს მნათობები რაღაცა უხილავი ძალით მოძრაობენ ცაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის, კაცთათვის ჭეშმარიტებაა, რომ მზე არის დიდი მნათობი და ანათებს დღისით, მთვარე კი პატარა მნათობია და ღამე ანათებს.

ბუნების მეცნიერებს შეუძლიანთ ბევრი იფიქრონ და იკვლიონ, როგორ წარმოიდგინონ განვითარება ქვექნისა, მისი ცალკე მხარეებისა, მაგრამ ამითი არა დაუშავდება-რა ღსთის, შემოქმედის რწმენას. ჩვენ ყოველთვის გაგვაკვირვებს და განგვაცვიფრებს მზატვრის ნაწარმოები, თუნდაც რომ არ ვიცოდეთ ამ ნაწარმოების შექმნის ცალკე მომენტები; ჩვენ არა გვაქვს ეჭვი, რომ უკვდავმა პოეტმა დაწერა „ფაუსტი“ თუმცა კი არ ვხედავთ ამ ნაწარმოების განვითარების ყოველს ნაბიჯს. ბუნების მეცნიერს შეუძლიან იძიოს და იკვლიოს, რა გარემოებაში, ან როგორ გაჩნდა კაცი ქვეყნიერობაზე, ეს სულ არ ეხება სარწმუნოებას; სარწმუნოება კმაყოფილდება მითი, რომ ღმერთმა შეჰქმნა კაცი, მეცნიერებს კი, უთმობს იმის ახსნას, როგორ მოხდა ეს. თუმცა კი შეუძლებელია დამტკიცება, მაგრამ ვთქვათ, კაცი თან და თან განვითარდა პირველ ყოფილი უჯრედიდგან, მაშინაც მოთხრობა კაცის შექმნის შესახებ სამუდამოდ ჭეშმარიტებად რჩება, რადგანაც შეუძლებელია უფრო სხვებით გამოხატვა კაცის ბუნების ორკეცობისა, ვიდრე როგორც ეს გამოხატულია საღვთოწერილის მოთხრობაში. ერთი თვისი ნაწილით კაცი სულ მიწიერია, ქვეყნიური, „მიწის გუნდა“ არის, მეორეთ, კი იგი არის ღვთის სულის შთაბერვა, ნათესავი ღვთისა (საქმე მოც. 17, 28). ევოლიუციის თეორიის მომხრე ბაერი ამბობს: „თუ სურთ, მოსეს მოთხრობა მიიღონ არა სიტყვა-სიტყვით, არამედ არსებითად, მაშინ უნდა დათანხმდნენ, რომ ძველი დროიდან ჩვენამდე არ მოულწევია ამაზე უმაღლესს მოწმობას და არც მოაწევს; თუ კაცის გაჩენის დროს მიწას ორგანიულ ნივთიერებად ჰქმნიან, ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი გაჩენილია გაცხოველებულ მიწიერ ნივთიერებისგან. არც ბუნნბის მეცნიერება წასულა ამ ჭეშმარიტებას იქით“. რეინეკეც ამბობს „მოსეს მოთხრობა რჩება უდიდეს მოვლენად ისტორიაშიო“.

უკვე ი. კეპლერმა, დიდმა და კეთილმსახურმა ასტრონომმა, სწორედ შეიგნო შექმნას ისტორია, ეს „დიდებული დასაწყისი კაცობრიობის დიდი წიგნისა“. იგი სწერს ერთს მათემატიკოსს: „თუ შენ გინდა საღვთოწერილიდან გამოიყვანო იმისი საბუთები, რომ დედამიწა, სდგას, შენ ბოროტად ხამაროს მას ბუნების მეცნიერების ინტერესებისთვის, საღვთოწერილში არ მოიპოვება არაგვარი მეცნიერული სწავლა ოფტიკის, ფიზიკისა, ასტრონომიისა; უფრო ხშირად ბუნების საგნები იხმარებიან აქ უმაღლეს სარწმუნოებრივ არზით, რომ მათში ჩვენ განვსჭვრიტოთ ღვთის შემო-

ქმედებითი ძალა". ოქროს სიტყვებია; გული დაუდოთ მათ!

ნაცარყანელი.

ილია ჭავჭავაძე,)

როგორც ლირიკოსი—პოეტი.

(27 ივნობ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

„ნეტა, ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..."

ილია ჭავჭავაძე.

(გაგრძელება*)

მცსეთაც, პოეტის თქმით, „სავანე გმირთა" მთელს ისტორიას აგონებს ძს, მაგრამ დღეს „დედა-ქალაქი ვრცელი ან სამეგიტნო დაბად გამსდარა"

„... წამხდარა ეკლეს, ის ღონე და ის ძლიერება,
მტკიცედ გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!..
ან იგი თითქო თვის დანაში შეეუნებულა,
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბეკრჯერ უსაგმოდ, ბეკრჯერ აზრით აღელვებულა,
ქართველის ტკივილი ოკეანეთვის კი სინანეია მასზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და ძიძარალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთესრიდა კიდეთა,
რომელი შორისაც ის ცხოვრება ძლიერი ჭეშმარიტ.
მაშინ გათესრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზეირთნი იმ ცხოვრების აღქმეულნი
სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა წინაპრთა სასისლითა
რწეულნი,
როდის-და ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედ გვლაგცა ალმ-
დგარსა,
დროსიან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კეკ-
შირთა ბრძოლასა,
ერთის ცხოვრების, ერთის სელის ძლიერსა
ქროლასა?
რას ეს ტოტნი ერთ-ცხოვრების, ერთ-არ-
სებისა,
ესლა გაურიდნი ერთ მდინარედ შეერთდებიან?
რას იგი ტომნი, ცად მიხწეულ მძლავრ კეკ-
ვსისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდე-
ბიან?
თანასუფლების მშვენიერის სხივთ მხურ-
ვლება
როდის დაადგრობს დაკანგებულს დიდხნის
ბორკილსა,
და ქართველობა საქადულად როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ოკეან ქართველის ერთგულ-
სა შვილსა?..."

თუმცა პოემაში „ჩრდილი" რათმა ოკეანეგან დაცულია, დიდად დამაფიქრებელი აზრებიც არის გატარებული, მაგრამ მნელი სავითსაა, მძიმე ლექსებით არის იგი დაწერილი. პოემის ეტეობა სურათების, მხატვრობის მაგიერ რიტორობა, მაღალ კილოანობა და ამიტომაც სიცოცხლის მოკლებულია. ისე კი მაძულის სიყვარული პოეტს ძლიერად აქვს გამოთქმული და ამ მაძულის სიყვარულს ილ. ჭავჭავაძე მიაწვა შიული თვისი ნიჭით და ენერგიით. ამიტომ იმის პოეზიას ეტეობა ცალ-მხრივობა, პოეტურ სავანთა მრავალგვარობას მოკლებულია.

ილ. ჭავჭავაძემ თითქოს წინ და წინვე, იმ თავითვე განსაზღვრა სავანი თვისი პოეზიისა და საზოგადო მოღვაწეობისაც. ვიწროთ შემოსაზღვრა პოეზიის ფარგლები და ამ მის მიერ შემოსაზღვრულ საგნებს მტკიცედ დაჭედა თვისი ბეჭდი. ალიეთ ილ. ჭავჭავაძე პოეტი, ბასკინი, ეგზისტენციალისტი. იმისი ძლიერი სასე გამორჩეული იყო, წინადვე იცოდით, რა საგანს, როგორ შესდგებოდა, რა გზას დაადგებოდა იგი და, რისა წარმომ-

*) იხ. „შინ. საქ." № 6

დგენელიც იყო. აი, აქ მართალია სწორედ, თუ გხედავთ, ძალიან ოცი: იდ. ჭავჭავაძეს ნიჭის ძალა და ამ ნიჭის ერთგვარობაც, ერთ ერთი აჩემებულ საკანონთად აზრთა თავ-გამომეტებული სამსახური—მამულის სიყვარული.

სხვა საკანი არ არის იმისა ჭავჭავაძის პოეზიისა. იმისა ჭავჭავაძეს, როგორც პოეტს, აკლია წარმოდგენის და ფანტაზიის ძლიერება, შედარებით, ალექსანდრე ჭავჭავაძესა, გრ. ორბელიანისა, ნ. ბარათაშვილისა და აკაკისთან. იქ, სადაც ალნიშნული მგოსანნი ერთის კალმის გაქნევით სიოცარს სურათს ბამოასხმენ, იდ. ჭავჭავაძეს, შედარებით, სამჯერ და ოთხჯერაც უნდა გაიქნიოს კალმის წვერი, რომ შესაფერი პოეტური სურათი დასტოს. ისია გარეგან ბუნების და ეროვნულ ფსიქიურ ცხოვრების წერილმან ამბავთა დასურათება—დასტაკაში აკაკისაც დიდად ჩამორჩება უკან. მაგრამ, მაგავრად, ისია ნ. ბარათაშვილისეთ საგმოდ ძლიერია მაშინ, როდესაც შეეხება ადამიანის სულიერს არსებას, შინაგან. სუბიექტურს ქვეყანას.

აიღოთ ახლა პოემა „დიმიტრი თავდადებული“ და უფრო დაწვრილებით გავიხილოთ იგი. „დიმიტრი თავდადებული“, რომელსაც ალტაცებაში მოიყვანს ბევრი ჩვენში, მე მიმაჩნია ყველაზე უფრო სუსტ თხზულებად მის თხზულებათა შორის. იქ არ არის არც ერთი ცოცხალი ადგილი. ლექსი მძიმარი, ზარმაცი, პროზაისებური და მექანიზმებური. „დიმიტრი დავადებულის“ კითხვა კაცს არ ამხნევებს, არ უდგებს გულში მამაცურ გრძნობას ბრძოლისას, არამედ ულოინო, პასიურ გრძნობას მორჩილებისას. ეს მტირალა მოთხრობა არამც თუ არ ამაღლებს კაცს, არამედ გულს უჩაგრავს, აგდებს სასონარკვეთილებაში, არამც თუ არ აღძრავს გმირულ გრძნობას, არამედ გრძნობას სიმხდალისას. სიკვდილი სასახელოა, როცა გმირულად კვდება კაცი. შოთამ თქვა:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

სიცოცხლე კეთილია, როდესაც ჩვენ ვეთხოვებთ ეროვნებას, რომელიც გმირულად მომკვდარა, სასონარკვეთილება კი არ ისახება ჩვენს გულში, არამედ მხნე, გმირული გრძნობა ბრძოლისა, მოქმედებისა. მაგრამ, როდესაც კაცი თვისი ხელით აიფარის თვის ირაღს და უწინასწარგანზრახულად, უბრძოლველად ჩაიგდებს თვის თავს მტრის ხელში, ამგვარ კაცს სიცოცხლის შეტი არა შეუძლია რა ადარის ჩვენ სულში. აი, ამიტომ „დიმიტრი თავდადებულის“ წაკითხვის შემდეგ კაცი არ რჩება სულით ამაღლებული, გამხნევებული, არამედ დაჩაგრული, გულ-გატეხილი, სასონარკვეთილი. ეს გარემოებაც იმას უნდა მიგვწეროთ, რომ იდ. ჭავჭავაძეს აკლია პოეტური ნიჭი. ემირული მოქმედების აღწერა დიდ ხელოვნებას მოითხოვს, ხოლო ულოინო, პასიური მორჩილება, სადაც არ არი არავერი მოქმედება უფრო ადვილი ასაწერია და ჩვეულებრივი ნიჭის საქმეა.

აქ მინდა ადგილი დავუთმო ბ-ნ „სიტყვანის“ შენიშვნებს *) „დიმიტრი თავდადებულის“ შესახებ. ეს შენიშვნები მე მიმაჩნია მართალი და მიუდგომელი კაცის კრიტიკულ მსჯელობათ და, ამიტომაც, მთლათ ამოვწერ აქ „ეკვლიდან“. „თუ მეკითხვენი, ამბობს ბ-ნი სიტყვანი, ოდესაც მანც განვითარებულია და მსჯელობა შეუძლია, ამ პოემის კითხვის დროს მას უნებლიეთ ებადება საკითხი: რისთვის სწირავს სულს მეფე? ამ საკითხის პასუხსა ავტორი მეფეს ადაპარაკებს:

„მე მეფე კარ და მეფობის
რიგი კიცი, რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი!.“

ავტორის წინასწმეტ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიმიტრის, როგორც მეფეს, არ ეოდნია, თუ რაში მდგომარეობს „მეფის რიგი“, თორემ ეს რა „რიგია“, რომ მეფე უკანის ეძლევა თავის ნებით და სიტყვა უთაოთ ტოკვებს? რით იყო მეფე დარწმუნებული, რომ იგიკე ეკანი, მის თავის მოკვეთას შემდეგ, უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას არ შეეხებოდა და ნაცარ-ტუტას არ აადებდა?

„ფუ ამ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი!?

ეს სიტყვები კარგია, მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ მწყემსი ცხვრის ფარას დეთის ანაბარათ ტოვებს და ხელის გაუნძრეველათ შეელს ბილიკებში უკარგავს. ჩვენის აზრით, ამისთანა მწყემსსაც „ფუ“ ეთქმის, რადგან მისი საქმეელი, თუ სიმხდალის არა, უგუნურობის ნაყოფია, ენინ დაუხედავი და უანგარიშო თავ-გაწირვა...

*) იხ. „ეკვლი“ № 18. 1894 წ.

მეტად სამწუხარო ჰაზრი იქნებოდა ჩვენთვის დიმიტრი მეფე, რომ ის სარწმუნოებისათვის სწირავდეს თავის სულს. სარწმუნოებისთვის საწამებლად გამწვავებული ჰაზრი საფუძვლიანად დარწმუნებულია, რომ, როცა გულ-სულ-დაკრეფილი მტერს ნებდება და თავის ღვთის სახელის მოწოდებით თავსა სწირავს, ამით ხალხში ძლიერად გააღვიძებს სარწმუნოებისადმი პატივისცემას და სიყვარულს. და როცა კი მეფე უხმლოდ და უიარაღოთ მტერთან მიდის და „მამკალით“ ეუბნება, ამ გვარ მაგალითის ხალხის ბუნებას მხოლოდ გალახრება შეუძლია, და არა გაგულადება და გამხნევება.

ხომლელი.

(შემდეგი იქნება.)

† ეპისკოპოსი პეტრე.

ალავერდის დიდებულს ტაძრში, თანახმად ანდერძისა, მიაბარეს მიწას ყოვლად სამღვდელო პეტრე ეპისკოპოსის გვამი.

ყოვლად სამღვდელო პეტრე იყო კახელი; სწავლა დაამთავრა სასულიერო სემინარიაში. ცხოვრება და მოღვაწეობა განსვენებული მღვდელთმთავრისა პატივის ცემის და ყურადღების ღირსია. ჩვენ წინ ცხადად სდგას დაწყნარებული და დამშვიდებული, ზეციური ნათლით მოფენილი სახე განსვენებული ეპისკოპოსისა, ყურში გვესმის მისი ტკბილი, გულის წარმტაცი და სასიამოვნო საუბარი; გარეგანი შეხედულობა ყოვლად სამღვდელოისა ჭეშმარიტად გამომხატველი იყო მისი სულიერი, შინაგანი სახისა.

სიყრმიდგანვე ღვთის-მსახურებაში აღზრდილს მღვდელს პეტრე კვანჭოშვილს, წილად ხვდა საქართველოს ეკლესიის განაპირა ოლქებში სამსახური და მოღვაწეობა. საუკეთესო წლები თავისი ცხოვრებისა მან შესწირა ოსეთს — ჯავის საბლაღოჩინოს და საინგილოს. საინგილოს სწორედ მაშინ ესაჭიროებოდა კეთილი, ქრისტეს მოძღვრებით გამსჭვალული და ენერგიით სავსე მწყემსი და პოვა კიდეც. ინგილოებმა თვითონ სთქვან, თუ რა ღვაწლი და შრომა მიუძღვის მათ წინაშე განსვენებულს და მისს მეუღლეს; ამაზე სიტყვა მათთვის და გვითმია.

ტფილისში განსვენებული არ დაკმაყოფილებულა მარტო სკოლაში სჯულის მასწავლებლობით. ტფილისში ერთს სახლში, რომელსაც „კაბინეთი“ ერქვა სახელად საღამოობით იკრიბებოდნენ ხოლმე იმერელი პოვარლაქიები საეკლესიო გალობის შესასწავლად; ამ კაბინეტში ხშირად დაბრძანდებოდა დეკანოზი პეტრე და გალობის მოყვარულებს ასწავლიდა საეკკლესიო ისტორიას, საეკკლესიო ღვთის მსახურების წესებს უხსნიდა; ბევრი რამ სასიკეთო შესძინა განსვენებულმა მგალობლებს. განსვენებულს ქართულს ლიტერატურაშიც უდევს წილი; მან აღწერა თვისი მოგზაურობა იერუსალიმსა და ათონის მთაზე და მდგომარეობა ქართველი ბერებისა ამ წმ. ადგილებში.

მაგრამ უკვდავს შრომას განსვენებულისას ქართულს ლიტერატურაში და მეცნიერებაში შეადგენს შესწორება ქართული დაბადებისა (ბიბლიისა) და საეკლესიო-სღვთისმსახურო წიგნებისა; დიდი ხანი შრომობდა განსვენებული დაბადების და საეკლესიო წიგნების შესწორებაზე და ნაყოფიერადაც; მან სულით და გულით შეიყვარა ეს საქმე და სახელიც მოიხვეჭა ამ შრომით. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნეთ, რომ განსვენებული შრომობდა საეკლესიო წიგნების შესწორებაზე; სავსებით და ღირსეულად დაფასებს განსვენებულის ღვაწლს და მნიშვნელობას ამ მხრით პირუთვნელი ისტორია.

განსვენებულს ხარისხი ეპისკოპოზობისა წილად ხვდა მძიმე დროს, როცა გახურებული იყო რუსეთის რევოლიუცია; როცა წამოყენებული იქმნა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ. რამოდენიმე ხანი განსვენებული ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპარქიასაც განაგებდა. — აღსანიშნია გულ-გრილობა, რომელიც ქართველმა სასულიერო და საერო უწყებამ გამოიჩინა ყოვლად სამღვდელოს დასაფლავების დროს. იმერეთში ყოფნის დროს ზოგიერთი მღვდლები იმერეთის ეპისკოპოსობასაც კი ულოცავდენ განსვენე-

ბულს, დამარხვაზე კი ერთი კაციც არ ყოფილა ტფილისში; მაგრამ რა გასამტყუნარია იმერების სამღვდელოება, როცა ტფილისელი ქართველი მღვდლებიც კი ყველანი არა ყოფილან სიონში წირვაზე და ანდერძის აგებაზე. დიდი ტალახი იყო ტფილისის ქუჩებშიო სთქვა ერთმა დამსწრეთაგანმა, ალბად ამ ტალახმა თუ დაუშალა ტფილელ მღვდლებს მისვლა ყოვლად სამღვდელო პეტრეს წირვაზე, მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული მეტი წილი თავისი ცხოვრებისა იყო მღვდელი.



თანამედროვე კერპი—გრაფი ლეონ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი.

რუსულ გაზეთ „Наша Жизнь"-ში მოთავსებულია ფ. კუპჩინსკის წერილი, რომელიც გრაფთან ყოფილა და დიდი ნასიამოვნები წამოსულა. დიდი აღტაცებით გადმოგვცემს ბ. კუპჩინსკი გრაფის მიხვრა-მოხვრას, მის სპეტაკ წვერების და ჭაღარა გრძელ წარბების ამბავს; მის ფეხის ხმასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მნახველზე. უფრო გაუკვირვებია ბ. კუპჩინსკი მის ბრძნულ მუსაიფს: მას ულაპარაკნია ომიანობაზე, რაც ომის თაობაზე დაწერილა. ულაპარაკნია, თუ რა იცის და რას ფიქრობს ხალხი ომზე, იმაზედაც თუ რას უნდა ფიქრობდეს და როგორ უნდა სჯიდეს იგი.

შემდეგ იმაზე გადასულა, თუ საფრანგეთის პარლამენტს, როგორ უკურთხებია მართებლობის მხრით მკვლელობა. უთქვამს იმაზე, რომ პარიეში იკრიბება ბრბო და მთელი ლამეები დარაჯობს, რომ არ გამოეპაროს სალტი კი და იშვიათი თავის საზიზღრობით სანახავობა გილიოტინით ადამიანის მოკვლა.

—შემაძრწუნებელია ის, ამბობს გრაფი, რომ იმათ თვითონ არ იციან რას შვრებიან. არ ესმისთ, რომ ხალხმა იცის, რომ ეს საზარელი რომაა, იცის, რომ (ეს კარგი არ არის) ეს ასე არ უნდა; და თუ ის მიდის სანახავად, განგაშობს კიდეც და მძვინვარებს,—იგი მატომ კი არ შვრება ამას, მიტომ კი არ იქცევა ასე, რომ თანახმაა (სიკვდილით დასჯისა), არამედ მხოლოდ მისთვის, რომ იქ ბრბოა, ულგნური, ბრმა ბრბო... არ იცის მან, რასა იქმს..."

— მე არ შემიძლია ამაზე... ეს მეტი... გაუთავებია გრაფს თავის მსჯელობა ამ სიტყვებით და ამდგარა ისეთი დაფიქრებული, ისეთი ძლიერ თავჩაღუნული, რომ წვერები ნათელ ტალღასავით ეფინებოდა თურმე ფართო მკერდზე,

— მე არ შემიძლია ამაზე... მე წავალ გავისეირნებ... თქვენ მოითმინეთ... მე წავალ...

— დასწერეთ, ბ. ლეონ, ახლავე აქ ესრამოდენიმე აზრი, რომ აღვბეჭდოთ ეს მუსაიფი... უთქვამს ბ. კუპჩინსკის. გადვიღოთ ფოტოგრაფია (ნაწერის), და მე ვეცდები, სადაც მოვახერხებ, მოვათავსო თვალსაჩინო ადგილზე გაზეთებში ერთი ახალი სიტყვა კიდევ ამის შესახებ.. დასწერეთ...

აქ გრაფი გაჩერებულა, ღრმად ჩაუხედავს ბ. კუპჩინსკის თვალებში, დაფიქრებულა, ამოუხვნეშია და უთქვამს:—არ შემიძლია ახლავე დაწერა,... როგორ უნდა დავსწერო ასე ერთბაშად?... არ მიყვარს მე ასე ერთბაშად წერა, არ შემიძლია ასე რამე დავწერო.... მოულოდნელად. ნუ მისაყვედურებთ—ვერ დავწერ ახლავე... წავალ... თქვენ კი სასადილო ოთახში მიბრძანდით და ყავა მიირთვით.

— დასწერეთ, ლეონ ნიკოლოზის ძევ, მისცივებია ბ. კუპჩინსკი.

— იცით... მე ხომ არ შემიძლია რაიმე სისულელე დავსწერო... კეთილშობილება მაიძულებს... მაინც საჭიროა წინდაწინ მოფიქრება, რა დავწერო.... არ ვიცი....

— არ დასწერს, გადაუწყვიტა გრაფის სეკრეტარმა გუსევმა კუპჩინსკის—მე თუმცა წავალ კიდევ, მოვაგონებ; ის ეხლა მეუბნებოდა, რომ თქვენ სთხოვეთ. მართლაც საჭიროა მოიფიქროს, მაშინ შეიძლება. გუსევი მალე დაბრუნებულა თვალებ გაბრწყინვებული, მოლიმარი.

— წერს. დაბრუნდა სეირნობიდგან, დაჯდა და წერს; თქვენთვის; ახლავე მოიტანს!...

ბოლოს გამოსულა გრაფიც.

— აი.... დაკსწერე... არ დაბეჭდავთ

სულ ერთია... უმისოთ კი არ შემიძლია... როგორც გნებავთ სხვაფრივ არ შემიძლია ლაპარაკი... აი წაიკითხეთ ხმა მაღლა.

კუპჩინსკის ვერ გაურჩევია ნაწერი და სეკრეტარისთვის გადაუცია. კითხვის დროს გრაფს თურმე დიდი მღელვარება დაეტყო, თან ნაწერსაც ასწორებდა.

— ხომ ვერ დაბეჭდავთ ჰა?..

— აღთქმას გაძლევთ, რომ დაიბეჭდება, როგორც არის, მთლათ ეს ფურცელი ფოტოგრაფიით იქნება გადაღებული.

ამ სიტყვების შემდეგ გრაფს ერთი კიდევ ღრმად და სწრაფად შეუხედავს და გაბრუნებულა, მთლად აღვსილი რაღაც დაფარული ფიქრებით. მოგვყავს უკანასკნელი სიტყვა გრაფისა, შეძლებისადაგვარად თარგმნილი თავის აურაცხელ შემოტანილ სიტყვებით და წინადადებებით, რომლებსაც მწერალი საზოგადოთ მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა ცოტა აქვს საქთმელი და ბევრად უნდა გამოიყვანოს, როცა სურს მეტად დაკვანჯოს გააწამოს აზრი, რომ ამით ფილოსოფიური სიდარბაისლე და თავსატეხობა მისცეს თავის ნაწარმოებს; ეს სარფაა, როცა აზრი თავისთავად მარტივია და არაფერ ახალს არ წარმოადგენს. აი ეს სიტყვაცო:

ბოროტებას კეთილიც თან სდევს.

(Нѣтъ худа безъ добра) Жизнь № 7.

„არის კეთილი მხარეც ყოველი სამღვთო და საადამიანო კანონების იმ შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებაში, იმ მკვლელობაში, რომელიც განუწყვეტლივ და უფრო ხშირად და ხშირად სრულდება სიკვდილით დასჯის სახელწოდებით იმ ადამიანთაგან, რომლებსაც მართებლობა ჰქვია.

კეთილი მხარე იმაშია, რომ ყველას პირდაპირ და შეუბრუნებლად დასმული აქვს საკითხ: რა სწამს მას—ღმერთი, სინდისი, თუ სახელმწიფო და ყოველივე ის, რაც გვებრძანება ამ უკანასკნელის სახელით? სათქმელადაც კი შემაძრწუნებელია: უმეტეს ნაწილს იმისას, რასაც მაღალი წოდება ჰქვია, სავალდებულოდ მიაჩნია საღვთო კანონები და სინდისის მოთხოვნილება დაუმორჩილოს სახელმწიფო კანონებსა და მის მოთხოვნილებას. თუმცა მძლავრად და, სათქმელადაც კი შემზარავია, ძლევა-მოსილად მიმდინარეობს ეგრეთწოდებული დაბალ საზოგადოების გახრწნის საქმე,—მაინც ერთად ერთი იმედი ის არის. დასაჯერებელი არ არის, რომ რუსის უბრალო, უვიცი, უსწავლელი, ე. ი. გაურყვნელი, ხალხი გასცვლის ღმერთს სახელმწიფოზე, სახარებას—კანონთა კრებულზე და მცნებას: „არა კაც კლა“ 1129 სტატიაზე. დრო არის ხალხმა გამოიფხიზლოს და გამოიფხიზლებს კიდეც.

აქ ლაპარაკია სიკვდილით დასჯაზე, და რა თქმა უნდა, გრაფს არაფერი ახალი არ უთქვამს მის მეტი, რასაც მთელი ძველი და ახალი განვითარებული ადამიანები არა მღერიან დღეს სხვა და სხვა ჰანგებზე. მართლაც ვინ არ იცის, რომ კაცის კვლა ბუნების წინააღმდეგია და დასაგმობი სადაც და რისთვისაც უნდა ხდებოდეს, მაგრამ საქმე ამაში არ გახლავსთ. საქმე ის გახლავთ, თუ როგორ მოგვარებ დღევანდელ უკულმართ ცხოვრებაში, რომ მკვლელობა არ მოხდეს, როგორ გადააკეთებ, როგორ გარდაქმნი ადამიანს და მის ცხოვრებას, რომ ეს ყოვლად საზიზღარი მოვლენა მოისპოს. აი აქ მოგვეხმაროს გრაფი თავის ღრმა ცოდნით და გამოცდილებით, თავის ფილოსოფიით, მაგრამ ვაი, რომ ეს აღემატება უფალი გრაფის შეძლებას!

დიდი განვითარებული ადამიანია გრაფი, ეს გვწამს, გვწამს, რომ იგი კაცს არ მოკლავს, მაგრამ არა მაზე ნაკლებ განვითარებული ადამიანები ურევენ ხელს მოკვლის სისხლში. და, ვინ იცის, სხვა გარემოებაში იქნებ გრაფიც კი, თუ სიამოვნებით არა, სრულიად გულგრილად მაინც გაისვრიდა სისხლში ხელს. პუშკინი, ლერმონტოვი გრიბოედოვი—ეს ისეთი სახელებია, რომლის ხსენებაზე სრულებით მეკარგება იმედი, რომ ადამიანმა ოდესმე გულიდან ამოიღოს მკვლელობის აუცილებლობა. თუ ამპარტავნება, შური და ჯიბრობა ადამიანის

დარჩა, სამწუხაროდ და სავალალოდ მკვლელობა და სიკვდილით დასჯა ყოველთვის დარჩება კაცობრიობის სასირცხოდ.

სამწუხარო დასკვნაა, მაგრამ აუცილებელი კია იმ მიმართულების მიხედვით, რომელსაც ადგია დღევანდელი ახალგაზდობა ერთი მხრით და გრაფი მეორე მხრით. ეხლანდელ ახალგაზდობას, რომელშიდაც ვგულისხმობთ ყველა ჯურის სოციალისტებს, ძერძო საკუთრების მოსპობით უნდათ მოსპონ მკვლელობა, ხოლო გრაფს ზნეობის განვითარებით გარეშე ღვთისა, გარეშე მხსნელისა. ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ წაართმევს ნიადაგს კერძო მკვლელობას და მაშასადამე სიკვდილით დასჯასაც. ვსთქვათ, დადგა სოციალიზმი. უეჭველია, როგორც ეხლა, ისე მაშინაც ეყოლება ამ წესწყობილებას მოწინააღმდეგენი, რომლებიც ეცდებიან დაამხონ იგი და გაამეფონ თავის იდეალები. როგორ ფიქრობთ, ნუთუ სოციალურ წესწყობილების მომხრენი არ იხმარებენ ძალას, რომ ალაგმონ ტუტუცი არამკითხე პოლიტიკანები? და თუ გაუჭირდათ არ მიჰყოფენ ხელს ტერორს, როგორც მაგალითიც გვიჩვენეს. ჯერ დღესაც სოციალისტებ შორის ისეთი უთანხმობაა, რომ უტერროროთ ეხლაც არ გათავდება საქმე და არამც თუ იმ ბედნიერ დღეს, როცა სოციალიზმი, როგორც პრინციპი ცხოვრებისა, გაიმარჯვებს და სხვა და სხვა ჯურის სოციალისტები დაიწყებენ ერთმანეთში ბრძოლას, თუ ოომელ სოციალიზმის დარგის პრინციპებზე უნდა აღშენდეს საზოგადოება, სახელმწიფო. ესეც არ იყოს, მაინც ძალიან ცოტა იმედია საკუთრების მოსპობისა. ვსთქვათ მიწა, წყალი, სამუშაო იარაღი გასაზოგადოებრივდა, როგორც ჰაერი, ცა, რომლებითაც ყველანი სარგებლობენ. ეს კიდევ საკუთრების მოსპობა არ იქნება. კაცს ეყოლება საკუთარი ცოლი, შვილი, საკუთარი ბინა. ვსთქვათ ცოლიც გასაზოგადოებრივდა (რასაც ყველა დედაკაცი მგონი არ დათანხმდეს), შვილებიც საზოგადო შეიქნა, რაც აუცილებელი შედეგია ქალის გასაზოგადოებრიობის, ბინაც საზოგადოების საერთო ქონებას შეადგენს და შენ არ შეგიძლია მისი გეგმა შეცვალო, შენ ნებაზე მოაწყო. განა ამით საკუთრება მოისპობა? არა. დარჩება კიდევ ისეთი საკუთრება, რომელსაც ვერ შეეხება ვერავითარი დახელოვნებული სოციალდემოკრატი, დარჩება ადამიანის „მე“ ეს საფუძველი ყოველი საკუთრებისა, დარჩება კიდევ თავმოყვარეობა, რომელიც არის საფუძველი ყოველი მკვლელობისა, დარჩება კიდევ სიყვარული, რომელიც არ მისცემს ნებას საყვარელი საგანი ვისმეს დაუთმოს, თუნდ ეს საგანი სხვასაც ეკუთვნოდეს. განა შეიძლება აქ ლაპარაკი მკვლელობის მოსპობაზე? რა თქვენი საკადრისია!

ეხლა გრაფის პრინციპი შესახებ ზნეობრივ სიფაქიზისა უღვთოდ, უმაცხოვროდ. განა შესაძლებელია ეს? ვისთვის და რისთვის გვინდა ეს ზნეობრივი სიფაქიზე, რომელიც მაინც და მაინც ამდენ სიამოვნებას არ იძლევა ამ ქვეყანაზე, რომელიც თხოულობს ბევრ ჩვეულებრივ მოთხოვნილებათა უარყოფას, ბევრ გასართობ საგანთა და მოვლენათა მოკლებას. გრაფი თამბაქოს არ ეწევა, ხორცს არ მიირთმევს, თეატრებში არ დაიარება, ცირკებს არ სწყალობს, ბალები და ვეჩრები გარყვნილების ბუდედ მიაჩნია, კლუბები დიდი ხანია დაივიწყა, მასკარადები ხომ სულ არ გაეცდება, არშიყობა ვინ მოიგონა, ღვინის და მაგარი სასმელების სმა როგორ შეიძლება, ქურდობა და სხვისი საკუთრების მითვისება, სხვისი შრომით სარგებლობა შეუწყნარებელია. ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა საჭიროა ყველა ეს, როცა ამათი მოკლება ბევრს ცხოვრებას მოაძულებს. ან რა პრინციპის ძალით, რა სახელმძღვანელო იდეალით უწოდებთ ამათ ბოროტებად და ამათ წინააღმდეგ საქციელს სათნოებად? სად არის, რაში მდგომარეობს ის კრიტერიუმი, რომლითაც თქვენ ერთს ზნეობრივ სიმაღლეს უწოდებთ და მეორეს ზნეობრივ დაცემას, დამცირებას, ერთი სიტყვით რით არჩევთ კეთილს ბოროტისაგან? თუ უმაღლესი სიამოვნება არსად არის, გარდა ქვეყნისა რათ უნდა დავთმო ის სიამოვნება, რომლისთვისაც მიმიღწევია? მე ქურდობა მსიამოვნებს და ამ სიამოვნებას რათ გავცვლი რაღაც უმიზნო ზნეობრივ სიმაღლეზე.

ბ. გრაფს ესიამოვნება მცენარეულობის მირთმევა და რათ გაცვლის ამ სიამოვნებას ხორცის ჭამაზე. მეორეს არაყი, თუთუნი მოსწონს, სიამოვნებს და რათ აიღოს ხელი ამ სიამოვნებაზე. რით განირჩევა ერთი სიამოვნება მეორისაგან? თქვენ მეტყვით სარგებლობითო. მაგრამ ესეც პირადად ჩემი გემოვნების საქმეა. მე, შეიძლება, თქვენგან უსარგებლოდ აღიარებული საგანი სასარგებლოდ მიმაჩნდეს. ყოველ შემთხვევაში შენ ვინ ხარ, რომ მასწავლი, ან ვინ გამოგაწვია ჩემ მასწავლებლად? თუ მე ვარ ჩემი თავის უფალი, ნება მიბოძე ჩემ ნებაზე ვიცხოვრო. თუ უმაღლესი არსება არა მყავს, რომელმაც მომცა მე მცნება, განსაზღვრა გზა ჩემი ცხოვრებისა, შენ რომელი უფლებით მიქადაგებ შენ ცხოვრების პრინციპებს, რომლებზედაც შენ შეშლილხარ, მიშლი მკვლელობას, როგორც ბუნების წინააღმდეგ მოვლენას? ან რა არის ეს შენი ბუნება? რატომ იგივე ბუნება არ უშლის მხეცებს ერთმანეთის ჭამას?

ამნაირად ვერც სოციალდემოკრატი თავის კერძო საკუთრების მოსპობით და ვერც გრაფ ტოლსტოი თავის ზნეობრივ უპრინციპო და უმიზნო ქადაგებით ვერ მოსპობენ მკვლელობას და სიკვდილით დასჯას. მხოლოდ სარწმუნოებას და ისიც ქრისტიანულ სარწმუნოებას, სახარების შეგნებას არა გონებით, არამედ გულით, შეუძლია მოსპოს ერთიც და მეორეც, ე. ი. გააგდებინოს ჯალათს მახვილი. მხოლოდ შეგნება, რომ არის უმაღლესი კანონმდებელი, მიუდგომელი მსაჯული და მასთან მოწყალე მამა, მისცემს ადამიანს ღონეს დასთმოს ყოველგვარი ქვეყნიური სიამოვნება, გახდეს ძმათა მოყვარული და მოწყალე.

„იყვნენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი მოწყალე არს“, „იყვარებოდეთ ურთიერთარს, ვითარცა მე შეგიყვარე თქვენ.“ აი მცნებები, რომლის სავალდებულოდ აღიარებას მოჰყვება კაცობრიობის გამოყვანა სიმხეცისაგან. ხოლო ესენი სავალდებულოდ მაშინ გახდებიან, როცა უეპველად მიღებული იქნება ღვთაებრიობა ქრისტესი, რომელმაც ეს მცნებები მოიტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არაფერი მაიძულებელი ძალა არ ექნება, როგორც არა აქვს ასეთი მაიძულებელი ძალა ბ. გრაფის ცხოვრების კანონებს ან კიდევ მარქსის სოციალიზმის გზაზე თვალდახუჭულ ბოდიალს. არ ექნებოდა და არ ექნება ასეთი ძალა ზემო მოყვანილ მცნებებსაც, თუ დავიწყებთ მაცხოვრის მეორე მცნებას: „უკეთუ არა გრწმენეს ჩემდა, რამეთუ ვარ, ე. ი. ღმერთი და არა სოციალდემოკრატი, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქვენთა.“ ყველა გრაფი არ არის, რომ რაღაც ხიმერას ემსახუროს, რაღაც ძველი ხელოვნების მცნებასავით შექმნას ახალი მცნება „ზნეობა ზნეობისთვის“.

გარდა იმისა, რომ საზოგადოდ გრაფის ფილოსოფიიდგან არ გამომდინარეობს უარყოფა ადამიანის სიკვდილით დასჯისა, ზემო მოყვანილი „უკანასკნელი სიტყვა“ გრაფისა არც ახალია. იგი რომ სხვას ეთქვა, არც ერთი გაზეთი დასტამბვის ღირსად არ აღიარებდა და არც დასტამბავდა. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იგი სთქვა გრაფმა, რომლის პირში ყველაფერი ახალი და ორიგინალურია, თუნდა ადამსობის ამბავიც იყოს. აზრის ორიგინალობას შეეფერება სწორეთ ის ბაქიაობაც, რომლის საფუძვლითაც გრაფი ჯიუტობს და არ თანხმდება თავის ნათქვამის დაწერაზე: „როგორ შეიძლება ასე უცებ დაწერა, მე ხომ სასულელეს ვერაფერს დავსწერო“. იმდენ წელიწადს კიდევ გასძელით, ჩემო გრაფო, რამდენი სისულელე გეთქვას და თქვა კიდეც, თუ ღმერთმა სული გათხოვა....

კინკილეთელი.

წერილი გრაფ ტოლსტოის მიმართ.*)

> გამზადებულ-იყვნენით მარადის სიტყვის-მიგებად ყოველისა, რომელი ეძიებდეს თქვენგან სიტყვასა თქვენ შორის სასოებისა მისთვის სიმშვიდით და შიშით. (სპეტ. III, 15).

თუ არ არის ცოცხალი ღმერთი, ან თავს მოვიკლავ, რადგან მე თვით ღმერთი კარ, ან მე

*) იხ. „შინ. საქ.“ № 7

ადგიმერი და, როგორც სატანა, კიტეკი გულსა შინა: „არა არს ღმერთი“. და თუ არ არის ღმერთი, არ არის განგება, არ არის სულელი ღვთისა, არ არიან მტანჯანი—მისნი. და მე მიკვეცემი გარეგნიდგებას, ეჭვმ, ვსკვმ, ეკლეკ და თან ვიმეორებ: „არა არს ღმერთი და მე კარ უფალი“ განა აქ დამაკვეებს კეტობრიეი კანონები? მე მაქვს ღონის ძიება შეკინასო ჰარემი, სოდო სიტკბოება ხორციელი ცოდვისა კიცი ჩემი სსეულით. მიბრძანეთ, ვინ ან რა დამიშლის მე დაკლიო ჩემი სიცოცოცხლე უკეთურებში, არა თუ ქალებზე, არამედ კაცებზედაც, დედის მუცლიდგან გამოწრილ ურმებზედაც (როგორც შვრებოდა დეკეი—მფარეი). ჩაკვირდით სკითხს: თუ არის ღმერთი, რა მიშლის ასეთი საქციელი ჩვენდინო სიდუმლოდ (როგორც იქცეოდა დეკეი და დღეშდის მისი საქციელი დარჩა აქ? თქვენ მიმითითებთ „საზოგადოების აზრზე“, მაგრამ მე კეთურთხებ ამ აზრს. რა ძალიან იგი მე მეჭირვება! წინასწარმეტყველ მე მიკიდოდი და ენის წკლეპუნით (დეტინეის კიდოთი) კეტეოდი: შენ ერთი ცოლი გეყვს და მე კი მთელი ჭარემითქო. შენ მოკვდები სიტკბოებს განუცდელი, მე კი გავსძღები ამ სიტკბოებით. იქეითეკ და როცა სიკვდილი მოკვ,—მოკვდებით, რა დიდი საქმეა: იმის იქით ხომ არაფერია. განა თქვენ არ იცით, რომ ადამიანები აფურთხებენ საზოგადო აზრს კი არა, მეზობლების, ნათესავების და შინაურების აზრსაც? თუ იტეკეთ სინდისზე და გონებაზე, 1) ერთიც და მეორეც შეიძლება დავამსინჯოთ დავამნელოთ ღვინით, თუთუნით, ავთმეოფობით, ან თავისთავად იქნეს სუსტი, 2) ერთიც და მეორეც მხოლოდ უმაღლეს ხარისხამდე განვითარებული (როგორ, მაგ., თქვენ) ცხადეოფენ სიმართლის ღვთაებრივ ჭეშმარიტებას ქვეყნის მოწყობილების მშვენიერებას, ღვთის მტნებებს (თუმცა ასეთი უმაღლესად განვითარებულ სინდისიან-ონებიანი პირები, საკვირველია, მაგრამ ჩემთვის სრულიად გასაგები, ვერ მიდიან იმ დასკვნამდის, რომ არსებობს სულიერი, მტნების-მომცემი ღმერთი). გარნა კინ მაიძულებს მე, ძალა დავტანო ჩემ სინდისს და ონებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან მსიამოვნებს სიმეკიტნოში ან სარეოსკეპოში შესვლა? ხოდო თუ თქვენ მიიღებთ, რომ მე დაუფარავი კარ სინდისითაც და ფიქრითაც ცხოველ და მართალ მსაჯულის თვალთაგან, რომელსაც ვერ აქც შეუძლია დამსაჯოს, და მით უფრო იქ მასთან, სადაც განვალ მცირედი ხნის შემდეგ, როგორ არ შემეშინდება, როგორ არ შეეძრწუნდები, არ დავფიქრდები მაინც. და აი მხოლოდ მაშინ გაიღვიძებს სინიდისი, რადგან სინიდისი არის ხმა სულისა, რომელიც ეკვდავია და ამიტომ რაც უნდა დავიწყებული იყოს, რაც უნდა გათელილი იყოს, მაინც მოგაგონებს თავის უკვდავებას და სიაქეო ხვედრს ამიტომაა რომ ერთმა უკეთურმა ტიბეგურასთ და ქირდვეთ სთქვა: „სიჭირო იყო შეგვექმნა ღმერთი ან გამოგვეგონებია, რომ იგი არ იყოს ადამიანის ცნებაშიო.“ ამიტომაა რომ სხვა უკეთურები ამბობენ, რომ „სარწმუნოება საჭიროა ხალხის დასამორჩილებლად შესაკვებლად, უამისოდ აგი ამბოხდებაო.“ ეს უმაღლესი ტიბეზმია; მაგრამ ამ საცოდავ კაცუნებს კარგად ესმის, რაშია საქმე. მაშ როგორ მოიქცეთ, ღონ, უღვთოდ? მე ვიცი, თუმცა შენ გულში არ ეკადარკარ, რომ ეს თქვენთვის ჩერტოვისა და სხვა მრავალთათვის ესალა აუცილებელი და დიადი საკითხია. მე ვიცი, ვგრძნობ, რომ თქვენ ღამე ძილი გაფთხილი გაქვთ. და, ღმერთო, რა მოსარული ვიქნებოდი, რომ შემეძლოს თქვენი განთავისუფლება ამ სატანჯველისაგან! ეს ისეთი უბრალო და ცხადი რამაა და ამიტომ ძნელია თქვენთვის. მთელი რუსის სალხი ამით მხოლოდ ცოცხლია და ამითაა შედგარი. იცით, როგორ მოიქცეოდი მე თქვენს ადგილზე? მე მარტო დავრჩებოდი ღამე. შემოვიკრებდი აზრებს და გრძნობებს, მწუხარებით და შემუსრილი გულით კიტეოდი: „უფალო! ცოცხალ ხარ შენ? განმეცხადე მე! მოიხედე, აი მე შენ წინაშე ვდგეკარ. ამიერიდგან მე ადარ ვგრძნობ, რომ ღონ ტოლსტოი კარ, დიდი მეცნიერი, დიდებული მწერალი, რომლის სახელი გრგვინავს ქვეყანაზე და რომელსაც აღტაცებაში მოყვავს მთელი განათლებული წვეყანა (ე. ი. ერთი მეწა მეთხეული და მწერალი სალხი). არა, უფალო, აი მე კარ ვინმე კაცი მოხუცი განმზადებული განასვლელად ამა ქვეყანიდგან, სადაც ბევრი ბიწიერება და უდებება ჩავიდინე. აი მე მოხუცი და სუსტი კარ, და მელის მე სიკვდილი: მოკა იგი, მაწამებს ავადმყოფობით და ამომაცლის ამ განცრწნადი სსეულისაგან შეძრწუნებულს და უნანელ სულს. უფალო, ხარ თუ არა? აბატეკ, მოკსმარე

ჩემ ურწმუნოებას, გამოეცხადე გულს, მოამდოვრე მწვინვარებას, მოეც ცრემლი თვალთა და სინათლე გონებას, შენი მებნით დაქანცულს." და ასე რომ ხშირად იქმოდე, იგი განგეცხადებოდა შენ, რადგან „მსხვერპლი ღვთისაა სული შემუსვრილი", და „საძაგელ არს წინაშე ღვთისა ყოველი ამპარტავანი გულითა. (იგ. ზოლ. 16, 8), რადგან სატანა ამპარტავანია და მით უძლური (სიმშვიდე მალაა). მხოლოდ სიმშვიდე—ეს ასე მცირეა და მასთან ასე დიდი. მხოლოდ შეიქმენ „გლახაკი სულითა", „მგლოვარე" და „წმიდა გულითა" და ნეტარი იქნები, რადგან ღმერთს იხილავ. და ამ დროს მუხლებიც მოიდრიკება, და დაემხობი პირქვე, და გადმოსცვივა თვალთაგან ნაკადული ცრემლთა. ამ დროს სხეული დაემორჩილება სულის მდგომარეობას, რადგან სულით შემუსვრილი არ შეიძლება არ დავარდეს. ასე მომივიდა მეც ერთი წლის უკან (მაისში 1895 წ.), როდესაც მე გამოვედი დედლოვიდან (მე მაშინვე მოგწერეთ თქვენ ჩემი მოქცევის წამებზე.) მე ხმა ვყავ უფლისა მიმართ და დავვარდი ცრემლით ღონე მიხდილი და გულითა შემუსვრილითა ვევედრებოდი: „უფალო, სადა ხარ შენ? მიშველე! და იგი მოვიდა, და აღმადგინა, და მომცა მე ძალა დამეთმინა ის, რაც შემდეგ შემემთხვა, გულთხევვითა და არა წყევით. და არა ჩემი თავის მადლობელი ვარ, არამედ ძალისა, რომელმაც მე განმამხნევა, ღვთის ძალისა, რომელსაც შენთვის სახელს ვერ ვუპოვით, გარნა მადლი სულისა, რადგანაც ეს ჭეშმარიტად კეთილი მისაცემელია. ჩემი თავის მადლიერი მხოლოდ იმაში ვარ, რომ მე დავიმდაბლე თავი ღვთის ძლიერ ხელქვეშ და ვსთქვი: იყოს კურთხეულ ღვთის განგება, რადგან, რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ წარვიდე ციმბირში: უფალო, შენ უკეთ იცი ჩემზე. მე დავემორჩილე მის ნებას და ამიტომ ჩავვარდი მის სახიერ წინამძღომლობაში და შემწეობაში. როცა მე დამაპატიმრეს, როგორც რევოლიუციონერი (თუმცა მაშინ მე მხოლოდ სასოწარკვეთილი და გარდარეული გიჟი, რომელსაც შეეძლო ტერორისტული აქტიც ჩაედინა), მე უკვე აღვიარებდი ღმერთკაცის სახელს. შენთვის და ბევრისათვის (ქრისტეს თვით ჩემთვის) ჩემი მოქცევა განსაკუთრებით ჭკუის მასწავლებელი უნდა იყოს, რადგანაც იგი მოხდა უეცრად, და ამიტომ (ადვილი შესაგნებელია), ყველაფერი ნათელია. არა გავლენა საიდგანმე არა შესწავლა კატეხიზმოებისა, რომლებისადმი გიმნაზიაში მე სიძულვილს ვგრძნობდი, რაც ეხლა ჩემთვის გასაგები გახდა, შეიქნა ამის მიზეზი, არამედ პიროვნულმა ცხოვრებამ, ცხოვრებამ თავის მორის მიმიყვანა მე იმ მდგომარეობამდის, რომელშიდაც დღეს ვიმყოფები.

ეხლა თქვენ მოწერილ დიდ ბარათზე, რომელშიდაც ასე მკაცრად იხატება გასაღებული ურწმუნოება თქვენი და მე მეშინის თქვენთვის. რაც შეეხება მე, ამ ბარათის არც კი შევუშფოთებივარ, რადგან, ღვთის მადლით, სარწმუნოება ჩემი მტკიცეა, დამყარებული ქრისტეზე. თქვენ რომ ვინმე დაგიხსნას ხორციელი სიკვდილისაგან, მხსნელს უწოდებთ და მთელ სიცოცხლეში გეყვარებათ. რამდენათ უმეტეს საყვარელია ჩემთვის, ვინც ჩემი სული დაიხსნა სასოწარკვეთილებისაგან. მოიფიქრეთ, ბ. ლეონ, მარტო მას შეეძლო და არა სხვას ჩემი გამოხსნა, რადგან მე ყოველთვის შემიძლია ვიგულისხმო ჩემი თავი მარტოდ მთელ ქვეყანაში, და არსებითად ასეთიცაა თვითეული ჩვენგანი. მან მომცა მე „წყალი ცხოველი", რომლისაგან მე „აღარ მომწყურდება უკუნისამდე". მე „სარწმუნოებით ცოცხალ ვიქნები", თუმცა არა მართალი, მაგრამ სიმართლის მაძიებელი, რადგან პირად სიმართლეში ვხედავ ადამიანის ერთად ერთ წინად განზრახულ ამ ქვეყნიურ მიზანს.

(შემდეგი იქნება)

კვირიდამ კვირობამდე.

ქუთაისის თავად აზნაურთა წარმომადგენლების საგანგებო კრება. უკანასკნელმა ამბებმა შესახებ ყოვლად სამღვდელო კირიონის და არქიმანდრიტ ამბროსის დასჯისა, აგრეთვე იმ ხმებმა, რომელიც გავრცელებულია ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს შესახებ, როგორც ვწერდით ამას წინათ, ძლიერ აღელვა საზოგადოება და უფრო თავად-აზნაურობა. უკანასკნელმა კვირას, 22 თებერვალს, საგანგებო კრება მოახდინა ამის შესახებ და თავისი ღრმა მწუხარება გამოსთქვა ასეთ შემაძრწუნე-

ბელ ამბების გამო, როგორიც არის საქართველოს ეკკლესიის საუკეთესო წარმომადგენელთა დაპატიმრება. მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ მიგვიყვანა. ჩვენ რუსების ერთობამდინო, ამბობდენ ორატორები, და თუ ესევე მართლმადიდებელი სარწმუნოება შეიქნება ჩვენი საუკეთესო წარმომადგენლების გამანადგურებელი, იძულებული ვიქნებით მართლმადიდებლობა უნიაზე გავცვალოთო. ჩვენ არა გვწამს და ვერც არავინ დაგვაჯერებს, რომ ჩვენ ეპისკოპოსებს ექსარხოსი ნიკონი მოეკლასთ. ამას საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობის მტრები იგონებენ, როგორიც ვოსტორგოვია და მისთანანიო. ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო, ჯერ ბრალდება დაემტკიცებიათ და მერმე დაეპატიმრებიათო. ასეთი უღიერი მოპყრობა ჩვენც გულს გვიცრუებს და ეჭვს გვიბადებს უმაღლეს სასულიერო მთავრობის მართლმსაჯულებაზე და რა იქნება დაბალ ხალხში, რომლის თვალში ეპისკოპოსი და ეკლესია ერთია, რომლის ხელის წამოკვრა აგრე ადვილად არავის შეუძლიაო. თუ ჩვენში სარწმუნოება დაეცა და ხალხი გამხეცდა, ამის ბრალი უმეტეს ნაწილად იმ პირებს ედება, ვინც ეკლესიაც და ხალხოსნობაც თავის ასამაღლებელ საფეხურად გაიხადაო. ასეთ მდგომარეობაში დიდხან დარჩენა ყოვლად შეუძლებელიაო, დაასკვნა კრებამ და აირჩია კომისია ოთხი პირისაგან, რომელსაც მიანდო ამ შემთხვევაში საჭირო შეკითხვის შედგენა და შემდეგ კრებაზე მოხსენება.

მონასტრის ეკკლესიის კურთხევა. კვირას 22 თებერვალს ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ მამა ალექსი ბერის (შუშანია) და მისი თანაშემწის მ. დოროთეს გაშენებულ სავანის ახალი ეკკლესია აკურთხა. ეს სავანე მდებარეობს დ. ახალსენაკის დასავლეთ მხარეს სულ ორი ვერსის მანძილზე და უპყრია ერთი მშვენიერი გორაკი რომლის ქედიდგან მოსჩანს მშვენიერი სანახაობა სამეგრელოს ჭალებისა და შავი ზღვაც. ეს ადგილი უწინ თეკლათის მამათა მონასტერს სჭერია, მაგრამ დროთა ვითარების გამო ეს მონასტერი გაუქმებულა. ამ რამოდენიმე წლის წინად აქ შეფარებულა მამა ალექსი და თავის მოღვაწეობით რამოდენიმე მამებიც მიუზიდნია. სხვათა შორის აქ შეფარებია მამა დოროთეც რომელსაც ცოტაოდენი შეძლებაც ჰქონია და ამ შეძლებით აღუშენებია ახლად ნაკურთხი ეკკლესია. როგორც მამა ალექსი ისე დოროთეც ჯერ კიდევ ახალგაზდა, სიცოცხლით სავსე მოღვაწენი არიან. მათ მიზნათა აქვთ დასახული იზრუნონ ხალხში დაცემულ სარწმუნოების აღსადგენად და ამისთვის პირველ ყოვლისა ისარგებლონ კეთილი მაგალითით. მამა ალექსის სიტყვით ეს სავანე, შეძლებისადაგვარად, გახდება დავრდომილთა და უპატრონო მოხუცთა და ყრმათა თავშესაფარად. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია განხორციელება, ვუსურვოთ ახალ სავანის ასეთ საღვთო მისწრაფებას და შეძლებისადაგვარად ხელიც შევუწყოთ მის მიზნის განხორციელებას. ეკკლესიის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიდაც დაახასიათა, რომ ეკკლესია კაცობრიობასავით ძველია და მისი უარმყოფელი ბრმაა, რომელიც ვერ ხედავს დღის სინათლეს. დაამტკიცა, რომ სარწმუნოება ადამიანთან არის დაბადებული, რომ არ არის და არ ყოფილა ხალხი, რომელსაც ასეთი თუ ისეთი სარწმუნოება არ ჰქონოდეს. მომავალშიაც სარწმუნოების დროშა ძრიელ მაღლა იფრიალებს, მიუხედავად თანამედროვე უარის მყოფელთა, რომელთა არა იციან რასა იტყვიანო. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა დღესასწაულობით.

საეპისკოპოსო კანდიდატი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, აწ უკვე გარდაცვალებულ ყოვლად სამღვდელო პეტრეს მაგიერ ეპისკოპოსის ადგილზე ასახელებენ იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურეს ბ. თ. ჟორდანიას.

სინოდის კონტორის წევრის ადგილი. როგორც სარწმუნოთ გავიგეთ უთხოვნია მღვდელმონაზონ ნაზარის (ლეჟავას), რომელიც ამ ჟამად კლევანსის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად ითვლება. ამ ადგილზე იმერეთიდგან კანდიდატად დასახელებულია

არქიმადრიტი პიროსი, მოწამეთა მონასტრის წინამძღვარი.

ხმა მღვდლისა (Н. З. № 42.) „მე ხომ არა ვარ, უფალო, მე ხომ არა ვარ?“ ასე ეკითხებოდენ თავის მოძღვარს განცვიფრებული მოციქულები, როცა მან საიდუმლო სერობაზე უთხრა მათ, ერთი თქვენგანი გამცემელიაო. საიდუმლო სერობიდგან მე გადავდივარ იმ საზარელ ხმებზე, რომლებიც ასე გახშირდენ, როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაში, საქართველოს სამღვდელოების წევრთაგან 30 პირის დასჯაზე. ის ქართველი მღვდლები, რომლებიც არ ეკუთვნიან „ჰეშმარიტ რუსთა კავშირს“, ძლიერ აღელვებული არიან და კითხულობენ „მე ხომ არ ვურევივარ ამ ოცდა ათშიო?“ და გაითვალისწინებენ თუ არა თავის წარსულს უპასუხებენ: „ღმერთო მიშველე, რასთვის?!!“ გვეუბნებიან, რომ ჩვენ შორის არიან გამცემლები ან, უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენ თვითონ გამცემლები ვართ, მაგრამ არ გვეუბნებიან კი, სად და ვის ვეამბორეთ ამბორითა იუდასითა?

ხმები დევნის შესახებ იზრდებიან და სისრულეში მოდიან.

ყველა ეს ჩვენ გვაღელვებს, ამღვრევს ჩვენ სარწმუნოებრივ გრძნობას, და გვირღვევს სულის მშვიდობას, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი მსახურებისათვის. ჩვენ უნდა აღვიმაღლოთ ხმა. ჩვენ უნდა შევეკითხოთ მართებლობას ორი სიტყვით: „რატომ, რისთვის“?!!! ჩვენ უნდა ვეძიოთ მართლმსაჯულება, უნდა ვეძიოთ განმარტება დანაშაულობისა და მსჯავრი იმ პირთათვის, რომელთაც ასე ადვილად ისვრიან ჩვენი წრიდგან. ჯერ კიდევ გაუქმებული არ არის ცირკულიარი პრემიერ მინისტრისა და უ. ს. ობერპროკურორისა 1906 წლიდგან, სადაც ნათქვამია: რომ „სამღვდელო პირი არ დაისაჯოს წინდაწინვე გამოუძიებლად.“

ამ დღეებში მოხდემა ეპარქიალური კრება სამღვდელოებისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კრება საქვეყნოდ დაილაპარაკებს ამის შესახებ და აშკარად დასვამს საკითხს, რომელიც აღელვებს მწყემსთაც და სამწყოსაც.

(„Н. З.“)

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.

განცხადება

გამოვიდა და ისყიდება

სახელმძღვანელო სამღვთო სჯულისა „ძველი აღთქმა“—დეკ. ნ. უუბანეიშვილისა

ფასი 50 კ.

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეების“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი მოკლე საეკლესიო ისტორია დეკ ჰ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ორი შაური.**

დაიბეჭდა და იყიდება

ახალი წიგნი მღვ. მ. კელენჯერიძისა:

თეორია სიტყვიერებისა — მეორე დასრულებული გამოცემა, ფასი 40 კ. იყიდება ქართული ქრესტომატიაც—მისაგე I, II, III და IV კლასებში საკითხავი წიგნი.

იკითხეთ: ფოთში ავტორთან, ქუთაისში ი. კვიცარიძესთან და კ. ბეჟენიშვილთან, თბილისში წერაკითხვის საზოგადოებაში.

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Александровская ул., д. Гокіелова.